



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სტანდარტის
(SNA 2008) დანერგვა და მთლიანი შიდა პროდუქტის
დინამიკური მნკრივის გადაანგარიშება**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შინაარსი

1. მეთოდოლოგიური ცვლილების საჭიროება	3
2. SNA 2008-ის დანერგვისას განხორციელებული ცვლილებები	4
2.1. საფინანსო შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი გაანგარიშება (FISIM)	4
2.2. საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშება	5
2.3. კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯის კაპიტალიზაცია	7
2.4. საგარეო ვაჭრობაში მესაკუთრის ცვლილების პრინციპის დანერგვა	7
3. სხვა ცვლილებები	8
3.1. კლასიფიკატორების ცვლილება	8
3.2. არასაბაზრო პროდუქციის გამოშვების გაანგარიშების გაუმჯობესება	8
3.3. მარაგების ცვლილების შეფასების გაუმჯობესება	9
3.4. დაზღვევის გამოშვების გაანგარიშების ცვლილება	9
3.5. ფასების ინდექსების წყაროების გაუმჯობესება	9
3.6. საბაზისო პერიოდის 2015 წელზე გადასვლა	9
3.7. გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენება	9
3.8. მონაცემთა წყაროს გაუმჯობესება	10
3.8.1. დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების სპეციალური კვლევების განხორციელება	10
3.8.2. არალეგალური საქმიანობების გამოშვების გათვალისწინება მშპ-ში	10
3.8.3. შუალედური მოხმარების სტრუქტურის განახლება	10
4. ცვლილებების გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე	11

1. მეთოდოლოგიური ცვლილების საჭიროება

2019 წლის 15 ნოემბერიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის უახლესი სტანდარტი (SNA 2008) დანერგა, რომელმაც მანამდე არსებული 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია (SNA 1993) ჩაანაცვლა. აღნიშნული განახლების დროს განხორციელდა ფუნდამენტური მეთოდოლოგიური ცვლილებები და მონაცემთა წყაროების გაუმჯობესება. ცვლილებების დანერგვის პარალელურად, მაჩვენებელთა შესადარისობის მიზნით, საქსტატმა გადაიანგარიშა ეროვნული ანგარიშების ისტორიული მწკრივი 2010 წლიდან. აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და დანიის სტატისტიკის სამსახურის ექსპერტები. წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილია SNA 2008-ის დანერგვასთან დაკავშირებული პროცესები და ისტორიული მწკრივის გადაანგარიშების თავისებურებანი.

ეროვნული ანგარიშები, მათი შედგენის მეთოდების კომპლექსურობიდან გამომდინარე, რეგულარულ გადასინჯვას ექვემდებარება, რაც წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით, სხვადასხვა პერიოდულობით ხორციელდება. ეროვნული ანგარიშების ერთ-ერთი მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორია მთლიანი შიდა პროდუქტი, რომლის წინასწარი მაჩვენებელიც საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღეს ქვეყნდება კვარტალური გამოკვლევების შედეგების შესაბამისად, ხოლო ზუსტდება საანგარიშო წლის დასრულებიდან 11 თვის შემდეგ, წლიური გამოკვლევების შედეგების საფუძველზე. გარდა აღნიშნული ყოველწლიური დაზუსტებისა, მაჩვენებლების შესადარისობის მიზნით ისტორიული მონაცემებიც ექვემდებარება ეტაპობრივად გადასინჯვას, რისი მიზებიც შესაძლოა იყოს: ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგიური ცვლილებები, წყაროდან მიღებული მონაცემების დაზუსტება, მონაცემთა წყაროს გაუმჯობესება, ცვლილებები კლასიფიკატორებში და სხვა.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ისტორიული მწკრივის გადასინჯვა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ მაჩვენებლებში აისახოს ყველა შესაძლო გაუმჯობესება, მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად.

2. SNA 2008-ის დანერგვისას განხორციელებული ცვლილებები

2.1. საფინანსო შუამავლობის მომსახურების არაკორდაპირი გაანგარიშება (FISIM)

SNA 2008-ის შესაბამისად, საქსტატმა FISIM-ის გაანგარიშების განახლებული მეთოდი დანერგა. FISIM-ის გაანგარიშება ხორციელდება რეზიდენტებისთვის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ვალუტისთვის. FISIM იანგარიშება კომერციული ბანკებისთვის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის 5 ინსტიტუციური სექტორის შესაბამისად: არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო სექტორი, შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო). გაანგარიშების დროს ერთმანეთისგან გამიჯნულია საბოლოო მოხმარებისთვის და შუალედური მოხმარებისთვის განკუთვნილი საფინანსო შუამავლობის მომსახურების მოცულობა.

შუალედურად მოხმარებული FISIM-ის გაანგარიშება ხორციელდება ცალკეული დარგისთვის, რაც შესაბამისად ისახება დარგის დამატებული ღირებულების გაანგარიშების დროს. შინამეურნეობებისთვის იპოთეკური სესხის შესაბამისი საფინანსო მომსახურება ითვლება შუალედურ მოხმარებად, ხოლო სამომხმარებლო მიზნით აღებული კრედიტის FISIM - საბოლოო მოხმარებად არის მიჩნეული.

FISIM იანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$f_L + f_D = (r_L - rr) \times Y_L + (rr - r_D) \times Y_D$$

სადაც:

f_L და f_D არის საფინანსო მომსახურების გამოშვება სესხებისა და დეპოზიტებისთვის;

rr - ურისკო საპროცენტო განაკვეთი (reference rate);

r_L - საპროცენტო განაკვეთი სესხებზე;

r_D - საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე;

Y_L - გაცემული სესხების ნაშთები;

Y_D - მიღებული დეპოზიტების ნაშთები;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოსთვის ურისკო საპროცენტო განაკვეთად ეროვნული ვალუტისთვის გამოიყენება თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი (TIBR), ხოლო უცხოური ვალუტისთვის გამოიყენებულია საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი.

განგარიშების წყაროს წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც დეტალურ ინფორმაციას იძლევა 2016 წლიდან, სესხებისა და დეპოზიტების შესახებ, ვალუტებისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

2010-2015 წლებისთვის განხორციელდა მაჩვენებლების რეტროპოლაცია, რისთვისაც გამოიყენებული იქნა თანაკვეთის (splicing) მეთოდი. ნიშნულად აღებული იქნა 2016-2018 წლებში ახალი და ძველი მეთოდებით გაანგარიშებული FISIM-ის ფარდობის საშუალო მაჩვენებელი.

2.2. საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშება

განახლებული მეთოდით საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების დროს გამოიყენება მომხმარებლის დანახარჯის მეთოდი (User Cost Method), რომელიც ეფუძნება ევროკომისიის რეგულაციის (№ 1722/2005), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს.

აღნიშნული მეთოდის დანერგვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მოსახლეობის აღწერის უახლესი მონაცემების მიხედვით, მთელი ქვეყნის საცხოვრისების 90 პროცენტი მესაკუთრეების მიერ გამოიყენება საცხოვრებლად. ამასთან, გაქირავებული ბინები არათანაბრადაა განაწილებული ქვეყნის მასშტაბით.

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისად, საკუთარი საცხოვრისის მომსახურების შეფასების დროს რეკომენდებულია მომხმარებლის დანახარჯის მეთოდის გამოყენება.

მომხმარებლის დანახარჯის მეთოდმა ჩაანაცვლა მანამდე არსებული თვითშეფასების (Self-Assessment) მეთოდი, რომლის დროსაც ხდებოდა მესაკუთრის მიერ საკუთარ საცხოვრისში პირობითად გადასახდელი თანხის შეფასება.

მომხმარებლის დანახარჯის მეთოდის მიხედვით, საკუთარი საცხოვრისის მომსახურების გამოშვება შედგება დანახარჯების შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან: შუალედური მომხმარება,

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სხვა გადასახადები პროდუქციაზე, კაპიტალის მოხმარება და წმინდა საოპერაციო მოგება. აღნიშნული კომპონენტების დეტალური ჩაშლა და გაანგარიშების ეტაპები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი | №1

№	კომპონენტის დასახელება
	შუალედური მოხმარება
01	საკუთარი საცხოვრისის მოვლა-შეკეთებაზე განეული ხარჯი
02	საკუთარ საცხოვრისზე გადახდილი მთლიანი სადაზღვევო პრემია
03	სადაზღვევო პრემიის დანამატი
04	საცხოვრისის მესაკუთრეებისთვის გადახდილი სადაზღვევო მოთხოვნები (მინუს)
05	საცხოვრისის მესაკუთრეების მიერ გადახდილი წმინდა სადაზღვევო პრემია (02) + (03) - (04)
06	არაპირდაპირ გაანგარიშებული საფინანსო შუამავლობის მომსახურება - FISIM
07	მთლიანი შუალედური მოხმარება (01) + (02) + (03) - (04) + (06)
	სხვა გადასახადები პროდუქციაზე
08	საცხოვრისის მესაკუთრეების მიერ საცხოვრისზე და მასთან დაკავშირებულ მიწაზე გადახდილი გადასახადები
	კაპიტალის მოხმარება
09	საკუთარ საცხოვრისზე დარიცხული კაპიტალის მოხმარება მიმდინარე ფასებში (მინის ღირებულების გარეშე)
	წმინდა საოპერაციო მოგება
10	საკუთარი საცხოვრისის მიმდინარე საბაზრო ღირებულების ნაშთი პერიოდის დასაწყისში (მინის ღირებულების ჩათვლით)
11	საკუთარი საცხოვრისის მიმდინარე საბაზრო ღირებულების ნაშთი პერიოდის ბოლოს (მინის ღირებულების ჩათვლით)
12	საკუთარი საცხოვრისის საშუალო მიმდინარე საბაზრო ღირებულება (მინის ღირებულების ჩათვლით) $((10) + (11))/2$
13	რეალური უკუგების წლიური განაკვეთი საკუთარ საცხოვრისზე (მინის ღირებულების ჩათვლით)
14	რეალური წმინდა საოპერაციო მოგება $(13) * (12) / 100$
	საკუთარი საცხოვრისის მომსახურების მთლიანი დანახარჯი
15	საკუთარი საცხოვრისის მომსახურების მთლიანი დანახარჯი (07) + (08) + (09) + (14)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკუთარი საცხოვრისის იმპუტირებული რენტის გაანგარიშება განხორციელდა რეგიონებისა (11 რეგიონი) და დასახლების ტიპების (საქალაქო, სასოფლო) მიხედვით.

მონაცემების წყაროდ გამოყენებულია: შინამეურნეობების ხარჯების გამოკვლევის მონაცემები საცხოვრისის მოვლა-შეკეთების ხარჯების შესახებ, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემები მთლიანი სადაზღვევო პრემიისა და პრემიის დანამატის შესახებ, ეროვნული ბანკის მონაცემები იპოთეკური კრედიტის შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები ქონების გადასახადთან დაკავშირებით (სხვა გადასახადები წარმოებაზე), საბინაო აღწერის მონაცემები (ჩატარდა 2014 წელს მოსახლეობის აღწერასთან ერთად), დასრულებული საცხოვრებელი შენობების ფართობი, ახლად აშენებული საცხოვრისის საშუალო ღირებულება 2018 წლის მდგომარეობით, უძრავი ქონების ფასების ინდექსები.

2.3. კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯის კაპიტალიზაცია

SNA 2008-ის მიხედვით კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯები ითვლება კაპიტალურ ხარჯად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კვლევა-დამუშავების მწარმოებელი შუალედურად იყენებს სხვის მიერ წარმოებული კვლევა-დამუშავების შედეგებს.

კვლევებსა და დამუშავებაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოზიდვა 2018 წლიდან ხორციელდება წლიური პერიოდულობით. მონაცემების მისაღებად არაფინანსური კორპორაციების, ფინანსური კორპორაციების და არაკომერციული ორგანიზაციების წლიური გამოკვლევის კითხვარებში დაემატა შესაბამისი მოდული და დაინერგა განათლების სექტორში კვლევებსა და დამუშავებაზე განეული ხარჯების გამოკვლევა.

მთავრობის მიერ კვლევებსა და დამუშავებაზე განეული ხარჯების მიღება განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მაჩვენებლებიდან.

2.4. საგარეო ვაჭრობაში მესაკუთრის ცვლილების პრინციპის დანერგვა

საგარეო ვაჭრობის მონაცემების ჯამური მაჩვენებლები ეფუძნება საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციას (BOP BPM 6), რომლის მიხედვითაც მესაკუთრის ცვლილების მიხედვით განისაზღვრება ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები, საზღვრის კვეთის პრინციპის ნაცვლად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღნიშნული პრინციპის გათვალისწინება გავლენას ახდენს დამუშავების მიზნით სხვა ქვეყანაში გატანილ საქონელზე, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ უბრუნდება საწყისი ქვეყნის ტერიტორიას. SNA 2008-ის მიხედვით ექსპორტსა და იმპორტში აღირიცხება საქონლის მოცულობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მესაკუთრის ცვლილებას.

3. სხვა ცვლილებები

3.1. კლასიფიკატორების ცვლილება

SNA 2008-ის დანერგვის პარალელურად განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის მე-2 რედაქციისა (NACE Rev. 2) და საქმიანობის სახეების მიხედვით პროდუქციის კლასიფიკაციის (CPA 2008-ის შესაბამისი) დანერგვა.

საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის დანერგვისას, სანარმოების საქმიანობას მიენიჭა კოდი განახლებული კლასიფიკატორის შესაბამისად, ხოლო აღურცხავი ეკონომიკის გადაყვანა განახლებულ კლასიფიკატორში განხორციელდა აღრიცხულის პროპორციულად.

მთლიანი შიდა პროდუქტის გადაანგარიშება 2010-2018 წლებისთვის განხორციელდა განახლებული კლასიფიკატორის (NACE Rev. 2) შესაბამისად.

3.2. არასაბაზრო პროდუქციის გამოშვების გაანგარიშების გაუმჯობესება

არასაბაზრო პროდუქციის მწარმოებლებს წარმოადგენენ სახელმწიფო სექტორი და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო). არასაბაზრო პროდუქციის გამოშვება იანგარიშება დანახარჯების ჯამით.

სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის განხორციელდა ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის დაკავშირება NACE Rev. 2 კლასიფიკატორთან, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა არასაბაზრო პროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშება ცალკეული საქმიანობისთვის.

კაპიტალის მოხმარების გაანგარიშების მიზნით შეიქმნა მოდელი აქტივების კატეგორიების მიხედვით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არასაბაზრო პროდუქციის მოცულობის შეფასება.

განახლებული მეთოდის მიხედვით ეკონომიკის 15 დარგში იქმნება არასაბაზრო პროდუქცია სახელმწიფო ორგანოების და შმაკო-ების მიერ.

3.3. მარაგების ცვლილების შეფასების გაუმჯობესება

მარაგების ცვლილების გაანგარიშებისას დაინერგა ჰოლდინგური მოგების გამორიცხვის მეთოდი, რაც წარმოადგენს საერთაშორისო მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ მიდგომას. ჰოლდინგური მოგების გამორიცხვა ხდება საწყისი და საბოლოო პერიოდის მარაგების წინა წლის საშუალო ფასებში გადაყვანის შემდეგ.

3.4. დაზღვევის გამოშვების გაანგარიშების ცვლილება

დაზღვევის გამოშვების გაანგარიშებაში დაინერგა მოსალოდნელი მოგების შეფასების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენება აუცილებელი ხდება განსაკუთრებით დიდი ზარალის არსებობის შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურებული ზარალი აჭარბებს მიღებულ სადაზღვევო პრემიას.

3.5. ფასების ინდექსების წყაროების გაუმჯობესება

დეფლირების დროს გამოყენებულ იქნა ფასების ინდექსების განახლებული წყაროები. კერძოდ, დეფლირებისთვის გამოსაყენებელი ინდექსების ბაზას დაემატა ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსები, ასევე, მშენებლობის ღირებულების ფასების ინდექსი.

ფასების ინდექსი ცალკეული დარგის პროდუქციისთვის მიიღება რესურსებისა და გამოყენების ცხრილებიდან, ბოლო დაზუსტებული წლის სტრუქტურით შენონილი ფასების ინდექსით, გამოშვებისთვის და შუალედური მოხმარებისთვის ცალ-ცალკე.

3.6. საბაზისო პერიოდის 2015 წელზე გადასვლა

განხორციელდა მუდმივ ფასებში მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზო პერიოდის ცვლილება, რა დროსაც 2010 წლის ნაცვლად, შესაძარ პერიოდად განისაზღვრა 2015 წელი.

3.7. გადასახადების აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდის გამოყენება

გადასახადების გაანგარიშებისას გამოყენებულ იქნა დარიცხვის მეთოდი, საკასო მეთოდის ნაცვლად.

3.8. მონაცემთა წყაროს გაუმჯობესება

3.8.1. დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების სპეციალური კვლევების განხორციელება

დანახარჯების გამოკვლევის გზით ჩატარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევა შემდეგ დარგებში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები, რა დროსაც განხორციელდა სასაქონლო ნაკადის მეთოდის გამოყენება აღურიცხავი გამოშვების შესაფასებლად, 2018 წლისთვის.

აღურიცხავი ეკონომიკის გამოშვებისთვის შედგენილი იქნა კოეფიციენტები შესაბამისი წლისთვის, ხოლო მანამდე არსებულ გამოკვლევის შედეგებსა და განახლებულ მონაცემებს შორის პერიოდში კოეფიციენტების გაანგარიშება განხორციელდა ინტერპოლაციის მეთოდით.

3.8.2. არალეგალური საქმიანობების გამოშვების გათვალისწინება მშპ-ში

SNA 2008-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას საჭიროა არალეგალური საქმიანობის მოცულობის შეფასება და მშპ-ში მისი გათვალისწინება.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობისა და პროსტიტუციის მომსახურების მოცულობის შეფასება განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებზე და სხვადასხვა ადმინისტრაციულ წყაროზე დაყრდნობით.

3.8.3. შუალედური მოხმარების სტრუქტურის განახლება

რესურსებისა და გამოყენების ცხრილების სრულყოფის მიზნით, ჩატარდა შუალედური მოხმარების სტრუქტურის გამოკვლევა ინსტიტუციური სექტორების მიხედვით CPA 2008 კლასიფიკატორის შესაბამისად. გამოკვლევის შედეგები აისახა 2018 წლის რესურსებისა და გამოყენების ცხრილებში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

4. ცვლილებების გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე

განხორციელებული ცვლილებების გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე წარმოდგენილია მე-2 და მე-3 ცხრილებში.

ცხრილი | №2

ცვლილებების გავლენა ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტზე, მლნ ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მშპ SNA 2008	21 821.6	25 478.7	27 227.3	28 593.0	31 124.1	33 935.0	35 836.0	40 761.7	44 599.3
მშპ SNA1993	20 743.4	24 344.0	26 167.3	26 847.4	29 150.5	31 755.6	34 028.5	37 846.6	41 077.5
მშპ-ის დაზუსტება SNA 2008 %	5.2	4.7	4.1	6.5	6.8	6.9	5.3	7.7	8.6

ცხრილი | №3

ცვლილებების გავლენა რეალური მშპ-ის ზრდაზე, %

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
SNA 2008	7.4	6.4	3.6	4.4	3.0	2.9	4.8	4.8
SNA 1993	7.2	6.4	3.4	4.6	2.9	2.8	4.8	4.7
სხვაობა (SNA 2008 - SNA 1993)*	0.1	0.1	0.2	-0.2	0.1	0.1	0.0	0.1

*მცირე განსხვავება ამ მაჩვენებელსა და განსხვავებული მეთოდოლოგიებით გაანგარიშებულ რეალური მშპ-ის ზრდების სხვაობას შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.